№ 125. ივნისის 12, სამშაბათი. 1866—1884 ივნისის 12, სამშაბათი. № 125.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნა-
აროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე
ხელის მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ, 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

ამ ნომერში რვა გვერდია.

## არა-ჩვეულებრივი კრება წევრთა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის.

პირველმა კრებამ, რომელიც მაისის 6 მოხდა, აირჩია რვა პირისაგან შემდგარი კომისია და მიანდო მას შემუშავება სათავად-აზნაურო სკოლის პროგრამისა ერთის თვის განმავლობაში. კომისიამ სასკოლო კომიტეტის წევრებთან ერთად ყოველივე თავისი აზრი და დასკვნა გამოხატა ცალკე მოხსენებაში და წარუდგინა ეს უკანასკნელი არა-ჩვეულებრივს კრებას, რომელიც ივნისის 10 შესდგა. კრება დაიწყო კომისიის მოხსენების წაკითხვით. აი ის მოხსენება:

„წრევანდელს საზოგადო კრებას «თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისას შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის» მეტად მძიმე და საჭირო საგანი ჰქონდა გარდასაწყვეტი. ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლას მომავალს წელს ემატება მესამე კლასი და კრებას უნდა გადაეწყვიტა,—ამ მესამე კლასში შემოღებულ ყოფილიყო ბერძნული ენა, როგორც კლასიკურ გიმნაზიებშია, თუ სხვაფრივ მოწყობილიყო საქმე სწავლებისა. ამ საგნის გარდაწყვეტაზედ იყო თითქმის დამოკიდებული,—თუ როგორი მიმართულება უნდა მისცემოდა ჩვენს სკოლას და რა კვალს უნდა დასდგომოდა იგი. საზოგადო კრებამ თითონ ვერ იკისრა ამ მძიმე საქმის საბოლოოდ გარდაწყვეტა და ამოირჩია კომისია რვა პირისაგან, რომელსაც ეს საქმე კომიტეტთან ერთად უნდა განეხილა დაწვრილებით და თავისი აზრი, როგორც მოსალოდნელი მესამე კლასის შესახებ, ისე შესახებ მთელი სასწავლებლის პროგრამისა წარედგინა საგანგებოდ თავ-მოყრილ კრებისათვის ერთის თვის განმავლობაში. კომისიაში ამორჩეულ იქმნენ თ. რევაზ ვაჩნაძე, თ. გ. ანდრონიკაშვილი, ილ. ჭავჭავაძე, ვლ. მიქელაძე, ა. ყვალიაშვილი, მლიავა, ვაჩნაძე და ი. მაჩაბელი.

კომისიისა და კომიტეტის წევრნი შეიყარნენ ამ ერთის თვის განმავლობაში ოთხჯერ და ამ სხდომაზედ დაესწრნენ, როგორც ამ საზოგადოების კომიტეტის წევრნი, ისე ბევრნი უცხო პირნი, თანამგრძნობნი ამ საქმისა, განსაკუთრებით პედაგოგები, რომელნიც კომისიას თავიანთ რჩევით ეხმარებოდნენ. ბევრი აზრი წარმოითქვა ამ კრებებზედ, საქმე თითქმის ყოველ-მხრივ აიწონ-დაიწონა და ბოლოს კომისიისა და კომიტეტის უმრავლესობა დაადგა შემდეგს აზრს, რომელიც დღეს წარედგინება პატივცემულს საზოგადო კრებას.

პირველი საგანი, რომელსაც მიაქცია კომისიამ ყურადღება არის ის, რომ ჩვენი ბავშვები სრულიად სხვა მდგომარეობაში არიან, ვიდრე ქალაქელებისა. მართალია, შეუძლებელ ბავშვებისათვის არის გამართული პანსიონი, მაგრამ პანსიონის შენახვა ისე ძვირად ჯდება, შედარებით ისე ცოტანი არიან პანსიონში, რომ ეს დაწესებულება შეიძლება სრულიად სახეში არ მივიღოთ და წარმოვიდგინოთ მხოლოდ მდგომარეობა გარედამ მოსიარულე ბავშვებისა, რომელთ დიდძალი უმეტესობა სდგას საძაგელ სადგურებში, ტანსა და ფეხზედ არაფერი აცვია, საჭმელ-სასმელი ცოტაცა აქვს და უვარგისიც, ხშირად, ძალიან ხშირად, ქონის სანთელიც არ მოეპოვება, რომ გაკვეთილები მოამზადოს ხოლმე და, რაც უფრო სამძიმოა, ამ გვარი ცხოვრება ცუდად მოქმედობს მათზედ ზნეობით. ეს მტერი განათლებისა—სილარიბე უპირველესი მიზეზია, რომელიც მეტის-მეტად ხელს უშლის ჩვენის ბავშვების წარმატებას და მეტის-მეტადვე უკან აყენებს მათ ქალაქელ ბავშვებთან შედარებით.

მეორე ხელის შემშლელი მიზეზი არის ენა, რომელზედაც სხვა-და-სხვა საგნებს ასწავლიან. თუ ჩვენს სასწავლებელს მოსამზადებელი ხასიათი ექნება, ბავშვებს დიდი გავარჯიშება ეჭირვებათ რუსულ ენაში, რომ შემდეგ უკან არ ჩამორჩენ ამ ენაში განვითარებულებს. მაგრამ ჩვენის ბავშვებისათვის რუსული ენის სწავლება საკმაო ტვირთს შეადგენს, უიმისოდაც დატვირთულებისათვის. ქალაქელებს კი ბავშვობიდამვე შეჩვეული აქვთ ყური ამ ენას და შემდეგში აღარ უჭირდებათ არც თვითონ ენის შესწავლა, არც ამ ენაზედ სხვა-და-სხვა საგნების შეთვისება.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ბავშვმა დასძლიოს ყოველ ამ სიძნელეს: სილარიბესაც გაუძლო, რუსული ენაც შეისწავლა, საგნებიც ისე შეითვისა, რომ სხვაგან ნასწავლ ქალაქელ ბავშვებს უკან არ ჩამორჩება,—რა მოელის თვით ამ ბედისაგან განებივრებულ ბავშვებს? მოელით საკონკურსო ეგზამენი, სადაც ბევრნი არიან მოწოდებულნი, მაგრამ არჩეულნი კი ნაკლებად. ხშირად ხუთს ვაკანსიაზედ წარსდგება ხოლმე ორმოცი და ორმოცდა-ათი მოცილე და ამ უზომო კონკურენციის წყალობით თვით საუკეთესოდ მომზადებული ბავშვიც კი სასწავლებლის გარეთ რჩება. ყოფილა მაგალითები, როდესაც არ მიუღიათ ბავშვები, რომელთაც საშუალო ბალი $4^1/_2$ ჰქონიათ. იქნება, შემდეგში მთავრობამ მიაქციოს ყურადღება სასწავლებლების ნაკლულევანებას და გამართოს მეტი სასწავლებლები, მაგრამ ხალხში სწავლის საჭიროება ისეა გავრცელებული, რომ რაც უნდა სასწავლებლები დაიმართოს, მოთხოვნილება ბევრად მეტი იქნება ვაკანსიების რიცხვზედ და დიდად მომეტებული ნაწილი ჩვენს სასწავლებლებში მომზადებულ მოსწავლეთა, თუნდა კარგადაც იყვნენ განვითარებულნი, სასწავლებელ გარეთ დარჩებიან.

კომისიამ მიიღო ეს ყოველივე მხედველობაში და იმიტომ შეადგინა აზრი, რომ თითქმის ყოვლად უსარგებლო იქნება მარტო მოსამზადებლისა და პროგიმნაზიულ კლასების დამართვა და აუცილებლად საჭიროა, ჩვენმა საზოგადოებამ იხმაროს ყოველივე ღონის-ძიება და მოიპოვოს საშუალება საკუთარი საშუალო სასწავლებლის დაარსებისათვის.

აქ, რასაკვირველია, იბადება კითხვა: რაკი მოსამზადებელი და პროგიმნაზიული კლასები თითქმის ყოვლად უსარგებლონი არიან, საკუთარი საშუალო სასწავლებელი რაღა სასარგებლო იქნებაო? ამის პასუხის მისაცემად კომისია არდგენს თქვენს წინაშე შემდეგს მოსაზრებას, რომელიც, იმედია, საზოგადო კრებისაგანაც იქნება მიღებული:

პირველი ეს არის, რომ, რაკი საკუთარი სასწავლებელი გვექნება, ჩვენს ხელთ იქნება კურსის გაგრძელება და ადვილად შეგვეძლება ერთის ან ორის წელიწადის მომატება. თუმცა ამის გამო ჩვენს სასწავლებელში კურს-დასრულებულნი უფრო ხნიერნი იქნებიან, მაგრამ ისა სჯობს—ხნიერი იყოს კაცი და იცოდეს რამე ხნითაც და გონებითაც მცირე-წლოვანობასა და უსუსურობას. ვადის მომატება იმისთვისაც არის საჭირო, რომ ჩვენს სასწავლებელში, რა სახისა და არსებისაც უნდა იყოს იგი, საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს ქართულის ენის, ლიტერატურის და საქართველოს ისტორიის სწავლებას. კომისია იმ აზრისაა, რომ უამისოდ ჩვენი სასწავლებელი ვერ შეასრულებს ერთს უმთავრესს თავის დანიშნულებათაგანს.

მეორე კიდევ ის არის, რომ ჩვენს სასწავლებელში ჩვენ შეგვეძლება სწავლების წესის შეცვლა პროგრამის შეუცვლელად, ე. ი. ჩვენს სასწავლებელში კურს-გათავებულებმა თუმცა ბოლოს იმდენივე უნდა იცოდნენ, რამდენიც მთავრობის სასწავლებელში კურს-გათავებულებმა იციან, მაგრამ საქმის გასაადვილებლად, და სხვა-და-სხვა საგნების შესაფერებლად ჩვენის ბავშვების გონების განვითარებასთან ჩვენ შეგვიძლიან ზოგიერთნი მათგანნი იმ კლასში არ ვასწავლებინოთ, რომელს კლასშიაც მთავრობის სასწავლებლებში სწავლობენ; მაგ. შეგვიძლიან ძველი ენების სწავლება, ორივესი, ან ერთ-ერთისა ჩვეულებრივზედ გვიან დავიწყოთ. ამ გვარად საქმის მოწყობა, თუ ამასთანავე ერთგულს და მუყაითს მასწავლებლებსაც ვუშოვით ჩვენს სასწავლებელს, რაშიაც კომისიას ეჭვი არა აქვს, აღგვიზრდის ჩვენს სასწავლებელში იმისთანა ყმაწვილებს, რომელთაც გონივრულად ეცოდინებათ მთელი კურსი საშუალო სასწავლებლებისა და ადვილად შეეძლებათ თავიანთ განვითარება შეუწონონ სხვა სასწავლებელში კურს-დასრულებულების განვითარებას.

ამას გარდა, უმთავრესი მიზეზი, რომელიც გვანატრულებს საშუალო სასწავლებელს, არის ის, რომ მასში კურს-გათავებულებს წინ საკონკურსო ეგზამენი აღარ ექნებათ გადაღობილი, რადგან ატესტატების რიცხვი განსაზღვრული არ არის და ვინც კი კარგად დაიჭერს ეგზამენს, იმის ჯავრი არ ექნება—სხვამ უკეთესად არ დაიჭიროს ეგზამენი და მე განზე არ დამტოვოსო. ყველასათვის, ვინც კი ეგზამენის დაჭერის შემდეგ მოწიფულობის ატესტატს მიიღებს, უმაღლესი სასწავლებლების კარი ღია იქნება და ჩვენს ყმაწვილებს თავიდამ ასცდებათ მეტად ავისა და ბოროტის გავლენის მქონე მოცილეობა, რომელიც ხშირად უნიჭიერესთაც, დახმარების მაგივრად, ართმევს ყოველსავე ღონის-ძიებას სწავლის გაგრძელებისას.

რაკი კომისია დაადგა ამ აზრს საკუთარი სასწავლებლის საჭიროებისას, იგი შეუდგა იმის განხილვასაც,—თუ როგორი საშუალო სასწავლებელი გვეჭირვება. ამ საგანზედ ბევრი სხვა-და-სხვა აზრი წარმოითქვა. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენთვის საჭიროა უფრო სამეურნეო სასწავლებლებიო, ზოგნი კლასიკურს სისტემას ამჯობინებდნენ, მაგრამ მარტო ერთის ძველის ენით კი და ბერძნულის ენის გამოტოვებასა თხოულობდნენ, რასაკვირველია, თუ მთავრობაც ნებას დაგვრთავდა და უბერძნულოდ მიიღებდნენ ჩვენს მოსწავლეთ უმაღლესს სასწავლებლებში. მაგრამ უმრავლესობა კომისიისა კი იმ აზრს დაადგა, რომ ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა კლასიკურ სისტემაზედ მომართული სასწავლებელი, რომელშიაც იგივე საგნები ისწავლებოდეს, რომელთაც მთავრო-

ბის კლასიკურ გიმნაზიებში ასწავლიან დამატებით ქართულის ენისა, ქართ. ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიისა. კომისიამ ამჯობინა კლასიკური სისტემა სხვა სისტემებს მხოლოდ იმიტომ, რომ კლასიკურ გიმნაზიებში კურს-გათავებულებს ყველა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა შეუძლიანთ და უნივერსიტეტებში სხვა სასწავლებლიდამ შესვლა შეუძლებელია. გარდა იმ უფლებისა, რომელსაც ანიჭებენ უნივერსიტეტები, კომისიას მეტად სასარგებლოდ და თითქმის აუცილებლად მიაჩნია, რომ ჩვენს საზოგადოებაში, რაც შეიძლება მეტი იყოს, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-მიღებულთა, რიცხვი რადგან უამისოდ ჩვენის ცხოვრების წარმატებასა და განვითარებაზედ ფიქრი ყოვლად უსაგნო და უმნიშვნელო იქნება.

შემდეგ ამ გარდაწყვეტილების მიღებისა, კომისია შეუდგა იმის განხილვასაც, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს სწავლების წესი ხსენებულს სასწავლებელში, ან რა ენაზედ უნდა იყოს სწავლება, მაგრამ ამ საგანზედ არავითარს გარდაწყვეტილს აზრს არ დასდგომია და სამჯობინაროდ დაინახა ეს საქმე განხილულ და გარდაწყვეტილ იქმნას მაშინ, როდესაც ჩვენ მოგვეცემა სრული შეძლება საკუთარი საშუალო სასწავლებლის გახსნისა.

ამ გვარად ერთად-ერთი დედა-აზრი, რომელიც გამოირკვა კომისიის ბაასიდამ არის ის, რომ ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა საკუთარი სრული კლასიკური გიმნაზია ჩვეულებრივი პროგრამით, მხოლოდ სწავლების წესის შეცვლით. მაგრამ ეს სურვილი კომისიისა ჯერ სურვილადვე რჩება და ვიდრე იგი შეგვისრულდებოდეს, უნდა აწმყო ფაქტთან გვქონდეს საქმე და ჩვენი სათავად-აზნაურო სასწავლებელი ისე მოვაწყოთ მისის პროგრამითა და მიმართულებით, რომ იგი იყოს საფეხური ჩვენის მოსალოდნელი გიმნაზიისათვის. ამ აზრით კომისიამ გარდასწყვიტა ჩვენის პროგიმნაზიული კლასების შესახებ, რომ სწავლება ჯერ-ჯერობით ისევ უწინდელს წესზედვე დარჩეს, მხოლოდ ბერძნული ნუ იქნება შემოღებული მესამე კლასიდამ და ერთის ან ორის წლით მოგვიანდეს, კომიტეტის გარდაწყვეტილებისამებრ; ამით მოსწავლეთ ცოტა მაინც შეღავათი მიეცემათ და ისე აღარ გაუძნელდებათ სხვა საგნებისა და ენების სწავლება, თუმცა მეორეს მხრით კლასიკური გიმნაზიის კლასებში შესვლა ამით მოუგვიანდებათ. მაგრამ, ვიმეორებთ, კომისია ამას დიდ მნიშვნელობას არ აძლევს, რადგან უიმისოდაც ჩვენის სასწავლებლიდამ სხვა სასწავლებელში გადასვლა მეტად გაძნელებულია და ამას მაინც ვერ იქონიებს ჩვენი სასწავლებელი თავის საბოლოო საგნად. მთავარი აზრი ჩვენის სასწავლებლისა ის უნდა იყოს, რომ იგი შეიქმნეს ქვა-კუთხედი ჩვენის საკუთარის გიმნაზიისა, რომლის დაარსებასაც ყველამ უნდა შეძლებისამებრ ხელი შეუწყოს. კომისია დარწმუნებულია, რომ ჩვენს საზოგადოებას შეუძლიან ამ აზრის შესრულება, თუ იგი აშკარად დაინახავს ამ აუცილებელ საჭიროებას და თუ ისიც აგრეთვე გულს დააჯერებს, როგორც გული დააჯერა კომისიამ, რომ თუ საკუთარი საშუალო სასწავლებელი არ გვექნება, თითქმის ამაო იქნებიან, როგორც მოსამზადებელი, ისე პროგიმნაზიული კლასები და ჩვენ არას გზით და არას ღონით არ შეგვიძლიან ისე მოვაწყოთ საქმე, რომ მეათედმა მაინც ჩვენის მოსწავლეებისამ შემდეგი გზა გაიკვლიოს, ნახევარ მანძილზედ არ ჩარჩეს და არ გაამრავლოს გუნდი იმ თავად-აზნაურთა, რომელნიც ხშირად პირველისა და მეორე კლასით იჯერებენ სწავლის ხალისს.

თვით ამ მოხსენებაზედ და მისგან გამოწვეულს ბაასზედ ხვალ მოვილაპარაკებთ.

---

### შინაური ქრონიკა.

— გუშინ-წინ, ივნისის 10-ს, თბილისის სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა თვისი გარდაწყვეტილება სიდამონ-ერისთავის, ბასპაროვის, დიდებულიძის და მარმარჩევის საქმის შესახებ. პალატამ გადაუწყვიტა: ერისთავს სამსახურიდგან გამორიცხვა და 11 ათასი მანეთის გადახდევინება, დანარჩენთ სამსახურიდგან გამორიცხვა და ყველას ერთად 15 ათასი მანეთის გადახდევინება; მაგრამ მანიფესტის ძალით, რომელიც შარშან ხელმწიფის დაგვირგვინების დღეს გამოიცა, უკანასკნელთ სამსახურიდგან გამორიცხვა ეპატივათ.

— აფხაზეთიდამ გვწერენ: «ამ სამის წლის წინად აქ ვაზის მტერი, ფილოქსერა გაჩნდა; აქამომდე ძრიელ გულ-მოდგინედ მუშაობდენ ესრედ წოდებულნი ფილოქსერის მომსპობელი კომისიის წევრნიო, მაგრამ წელს კი თვალითაც აღარ დაგვინახავს ისინი, თუმცა ფილოქსერა ახლაც ბლომად არის სოხუმის არე-მარეზედაო.

— სოხუმიდამვე გვატყობინებენ, რომ «ახალ ათონის» მონასტრის ახლო მთის წვერზე ერთი ძველებური კოშკი დგას, რომლის ახლო ბერებს საჯვარის გაკეთება განუძრახავთ და კოშკის ნანგრევებში მუშაობის დროს უპოვნიათ ერთი ქვის ნატეხი ბერძნულის ზედ-წარწერით.

ამ ნაწერიდამ ჯერჯერობით მარტო ქორონიკონი ამოუკითხავთ, რომლიდამაც სჩანს, რომ ის კოშკი ყოფილა მეხუთე საუკუნეში აშენებული. ამ ნაწერის პირი ფოტოგრაფიით გადაუღიათ ბერებს და მოსკოვის არხეოლოგიურის საზოგადოებისათვის გაუგზავნიათ.

— იმერეთიდამ მოსულებმა გვიამბეს: ამ თვის ცხრას ჟვირილის არემარეში, კარგა მსხვილი სეტყვა მოსულა, მაგრამ დიდი ზიანი არა მიუციარა, რადგანაც ჩქარა გადაუღია.

— შორაპნის მაზრიდამ გვწერენ, რომ სოფ. ღვარებში ამას წინად აზნაურმა ი. აბაშუკელმა მოჰკლა აზნაური ნ. ორჯონიკიძეო. ეს საქმე შორაპნის მაზრის გამომძიებელმა გამოიძია და გადასცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს, და, თუმცა აგერ ოთხი წელიწადია მას უკან, საქმე ჯერაც არ გათავებულა და მკვლელი თავისუფლად დაბძანდებაო.

— შორაპნის მაზრიდამვე გვატყობინებენ, რომ სოფ. მარელისის მცხოვრებნი დიდს გაჭირვებას ითმენენ იქაური სახელმწიფო ტყეების მცველებისაგან. კორესპონდენტი იწერება, რომ საჩივარია მათზედ გამართული, მაგრამ გამომძიებლად თვითონ „ლესნიჩიაო." ამასთან ამ «ლესნიჩს» თან მოჰყვა ისეთი თარჯიმანი, რომ სულ ტყისმცველების სასარგებლოდ ლაპარაკობსო. ლესნიჩიც ამისაგამო ჩვენ ფეხებს გვიბრაგუნებს და თავის ხელქვეითებს კი ზდილობიანად ექცევაო.

---

### წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოგვცეთ შეძლება თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვუცხადოთ უგულითადესი მადლობა შემდეგ პირთ, რომელთაც ყურად-იღეს ჩვენი ღარიბი მატერიალური მდგომარეობა და თანაგრძნობით აღმოგვიჩინეს პეტერბურგში მოსწავლე ქართველებს შემწეობა ფულით: იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრიელმა 80 მანეთი, თამარ ბრუზინსკისამ—25 მან., თ. ლ. ი. მელიქიშვილმა—50 მანეთი, პროფეს. ოქრომჭედლიშვილმა—100 მანეთი, გურიის ეპისკოპოზმა ალექსანდრემ—15 მან., გიორგი ქართველიშვილმა – 20 მან. თ. ისე ალ. ანდრონიკაშვილმა—20 მან., თ. ი. გ. მაჩაბელმა—10 მან., თ. დ. გ. ერისთავმა—10 მან.

დავშთებით თქვენი პატივისმცემელნი
პეტერბურგში მოსწავლე
ქართველი სტუდენტები.

ქ. ს.-პეტერბურგი.
1 ივნისს.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

ივნისის 9-ს.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რათა გამოყვანილ იქმნას 1884 წ. 224,000 ახალი ჯარის კაცი მხედრობისა და ფლოტის შესავსებლად; მათ რიცხვში ისინიც უნდა გამოვიდნენ, ვინც წარმოადგენს რეკრუტად ჩარიცხვის წინანდელს კვიტანციას.

შინაურ საქმეთა მინისტრი ცოტას ხნობით თავს ანებებს პეტერბურგს.

გამოცხადდა აპრილის 20-ს უმაღლესად დამტკიცებული წესდებულება მართლმადიდებელი სასულიერო აკადემიებისა.

„ს.-პეტერბურგის უწყებანი" დაწვრილებით მოგვითხრობენ იმ კანონზედ, რომელიც შეეხება ომიანობის დროს ჯარისათვის ცხენების მოკრეფას; თითოეული მაზრა განიყოფება საცხენო უჩასტკებად, პოლშაში კი თითოეული ობშჩინა შეადგენს ცალკე უჩასტკას; დიდრონი ქალაქები და დედა-ქალაქნი შეიძლება რამდენსამე უჩასტკებად გაიყონ; ყოველ მეექვსე წლის თავზე უნდა აღიწერონ ხოლმე ცხენები. გამოსადეგი ცხენების ფასი გადაჭრილი იქნება თითო მაზრისთვის კერძოდ, ადგილობრივის ფასის მიხედულებით, რომელსაც ათი პროცენტიც დაემატება.

**ბუხარესტი.** გუშინ პარლამენტის დახურვის დროს, წარმოითქვა სატახტო სიტყვა, რომელშიაც მოხსენებულია, რომ პოლიტიკური ცხოვრება რუმინიისა წარმატებით მიმდინარეობდაო. ამას ჰმოწმობს კონსტიტუციისა და ახალის საარჩევნო კანონის გადასინჯვაო. ხალხი ერთგულიაო მემკვიდრეობის წესზე დაფუძნებული მონარქიისა და კეთილ-გონიერი პოლიტიკა და რუმინიის მშვიდობიანი ზრდა მოუპოვებს მას სახელმწიფოთა ნდობასაო.

**პარიჟი.** ეგვიპტის საქმის შესახებ კონფერენცია ივნისის 28 შეიკრიბება ლონდონში.

**ვენა.** ლაპარაკია ავსტრიის ფლოტილიის დაარსების შესახებ დუნაიზე.

ივნისის 10-ს

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე მიდის ჩრდილოეთისკენ არა მარტო ჯარის დასათვალიერებლად' არამედ ისტორიულ სახსოვართა შესასწავლადაც.

გუშინ მოხდა უკანასკნელი სხდომა სახელმწიფო რჩევის საზოგადო კრებისა; განიკულები სექტემბრის პირველამდე გაგრძელდება.

ახალის საუნივერსიტეტო წესდების განხილვა გათავდა სამშაბათს; მაგრამ ეს საგანი, როგორც ისმის, საბოლოოდ არ გადაწყვეტილა, რადგან მის განხილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გას ორი სხვა-და-სხვა აზრი გამოუწვევია და თითქმის ორ თანაბარ ნაწილად გაუყვია სახელმწიფო რჩევის წევრნი; რაც შეეხება სტუდენტებისათვის ერთგვარის ტანისამოსის შემოღებას, საბოლოო გარდაწყვეტილება ამ საგნის თაობაზე, რომელსაც კანონ-მდებლობის წესით არ მოუნდება დამტკიცება, მიღებულ იქმნება მინისტრების კომიტეტის მიერ. კომიტეტი განიხილავს ამ საგანს ერთის თავის შემდეგ სხდომათაგანზე.

„ნოვოე ვრემიას" გაუგონია, რომ განზრახვა აქვთ ბაჟი, რომელიც ქვა-ნახშირს ადევს, დაადონ აგრეთვე კოქსსა, ტორფსა და ხის ნახშირს; ხოლო უბაჟოდ შემოტანა ამ საგნებისა მარტო თეთრის ზღვის პორტიდამ იქნება შესაძლებელი.

**ჰელსინგფორსი.** გენერალ-გუბერნატორი გრაფი ჰეიდენი მოგზაურობდა ფინლიანდიის ჩრდილოეთ გუბერნიებში და ყველგან აღტაცებით იქმნა მიღებული; მისდამი ნემეცურად და ფინურად მიმართულ სიტყვებზე გრაფი რუსულად აძლევდა პასუხს.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანმა დაამტკიცა ოსმალეთის სახელმწიფო ვალის კონვენციის (ვადასხდის) პროექტი და ამ აზრით დელეგატების გაგზავნა ბრძანა ევროპაში.

ივნისის 11-ს

**პეტერბურგი.** ივლისის პირველიდამ იხსნება აქ სამუდამო ტეხნიკური გამოფენა.

**კაირი.** ინგლისის ქვეითა-ჯარის ერთი ბატალიონი ასუანში აპირობს წასვლას, — იმავე გზით მიდის ნილოსზედ ინგლისის სამხედრო ცეცხლის გემი. ეს საშუალებანი, როგორც სჩანს, იმიტომ მიუღიათ, რომ ხმები ისმის აჯანყებულების თავდასხმისა ზემო - ეგვიპტეზედ.

**რომი.** პონტეკორვოში მოხდა აფეთქება თოფის-წამლის ქარხანისა; ამ უბედურობის დროს მოკლა 30 კაცი და დაიჭრა 17.

# განცხადებანი

**მთაწმინდის მეიდანზედ**

ზემოთ ეტაჟში მქედლოვის სახლისა № 26 იძლევა **ქირით. ხუთი ოთახი,** კუხნით და სხ. ფასის შეტყობა შეიძლება იქვე. (4—3)

**მირზაშვილის მოსამზადებელი სკოლა.**

ამით აცხადებს, რომ ამ სკოლაში სწავლა წარმოებს მთელი ზაფხულის განმავლობაში და ვისაც სურს ყმაწვილის მომზადება, უნდა შემოიყვანოს მხოლოდ 15 თიბათვემდინ.

ადრესი: ობშჩესტვენის ქუჩა, გრიგოლ აბესალომოვის სახლებში.

ალექსანდრე მირზაშვილი.

(5—5)

## ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ბანკის წესდების მე-17 § ძალით, ინიშნებიან საზოგადო ვაჭრობით გასასყიდლად ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გარდასახლდთა მათ მიერ შემოუტანლობისა გამო.

მასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე-19 § თანხმად, შეავსებენ ბანკის სახვედრო გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

**ქუთაისის გუბერნიის**

$43^1/_2$ წლიანი სესხნი.

**ა. ქუთაისის მაზრისა.**

კიკნაველიძისა, სოფრომ მერაბის-ძის, აზნაურისა სოფელსა ობჩას ზვარი და სახნავ-სათესი 4 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.

გამრეკელოვისა, იოვანე გიორგის ძის, დეკანოზისა: ქვახჭირის აგარს სახნავ-სათესი 86 დესიატ. 1380 კვადრ. საჟ.

ღოღაბერიძისა. მარიამ სიმონის ასულის, კოლეჟსკი სოვეტნიკის მეუღლისა: სოფელსა ბაშს სახნავ-სათესი და ტყე, $45^1/_8$ დესიატ.

მისივე: სოფელთა: ფარცხა-ნაყანევს, ბაშს და იანეთს სახნავ-სათესი, ტყე და სათიბი, $132^1/_8$ დესიატინა.

მისივე: სოფ. ფარცხა-ნაყანევს: ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 21 დესიატ. 400 კვადრ. საჟ.

ქაჯაიასი, გიორგი ტარიელის ძის, აზნაურისა: სოფელსა ჭაგანს: ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 7 დესიატ. 800 კვადრ. საჟ.

ლორდქიფანიძისა, დავით ბეკას ძის, თავადისა: სოფ. ახალბედი სოფლს ეზო, ზვარი და სახნავ სათესი, 164 დესიატ. 2280 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა თავადის ელასა ბესარიონის ძის, ლორთქიფანიძისა: სოფ. ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 91 დესიატ. 1390 კვადრ. საჟ.

პინცისა, ნიკოლოზ პეტრეს-ძის, პოლკოვნიკისა, და ნოვოსულსკისა, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის, ტაინი სოვეტნიკისა ტყიბულის: აგარს სახნავ-სათესი ტყე და საბალახე ქვა ნახშირი-თურთ, 204 დესიატ. 377 კვადრ. საჟენი.

მემკვიდრეთა აზნაურის ბესარიონ ანდრიას ძის. ხელთუფლიშვილისა: ბანოჯის აგარს სახნავ-სათესი და ტყე, 36 დესიატ. 360 კვადრ. საჟ.

ქანდინოვისა, ანნა ნიკოლოზის ასულის, ნადვორნი სოვეტნიკის მეუღლისა: სოფელთა წინაველს, ჭოგნარს და ბოდოგანს: ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატ. 600 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა აზნაურის სიმონ ივანეს ძის მესხისა: სოფელსა რიონს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა აზნაურის სიმონ სპირიდონის ძის მესხისა, სოფელსა რიონს: ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 25 დესიატ.

ნიჟარაძისა, მიხაილ დიმიტრის, თავადისა: სოფელსა მაღლაკს: ეზო და სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 450 კვადრ. საჟ.

ამაღლობელისა, ივანე გიორგის ძის აზნაურისა: სოფელსა დომს ეზო სახნავ-სათესი, 28 დესიატ. 2100 კვადრ. საჟ.

აგიაშვილისა, გიორგი თემურაზის ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ეზო ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 114 დესიატ. 1931 კვადრ. საჟ.

აგიაშვილისა, სიმონ ბებეს ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.

აგიაშვილისა, ქაიხოსრო, კონსტანტინე და სიმონ ბებეს ძეთა, თავადთა სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი და ტყე, 33 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.

აგიაშვილისა, ქაიხოსრო ბებეს ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ეზო, ზვარი და სახნავ სათესი, 28 დესიატ. 1200 კვადრ საჟ.

კიკიანისა, ანნა ფირანის ასულის, აზნაურისა: სოფელსა პატრიკეთს ეზო და სახნავ სათესი, 7 დესიატ. 2167 კვადრ. საჟ.

კიკნაძისა, გიორგი ზურაბის ძის, აზნაურისა: სოფელსა დიმს სახნავ-სათესი და ტყე, 19 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.

კიკნაძისა, ივანე ზურაბის ძის, აზნაურისა: სოფელსა დიმს სახნავ-სათესი და ტყე 15 დესიატ. 2040 კვადრ. საჟ.

ქეთათელაძეთა, [illegible] და ტარასი სოფრომის ძეთა, აზნაურთა: დაბახონს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 8 დესიატ 1849 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა, კესარია ბესარიონის ასულის, თავადისა: სოფელსა ზეინდარს სახნავ-სათესი 13 დესიატ, 300 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა, სოლომონ ქაიხოსროს ძის, აზნაურისა სოფელსა დიდ-ჭიხაიშს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 8 დესიატ. 1388 კვადრ. საჟ.

მესხისა, ირაკლი გრიგორის ძის, აზნაურისა: სოფელსა ნავენახევს სახნაავ-სათესი ეზო და ტყე, 21 დესიატ. 1080 კვადრ. საჟ.

მიქელაძისა, მელქისედეკ კონსტანტინეს ძის, თავადისა: სოფელთა კულაშს და ორ-წყალ-შვას ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 17 დესიატ. 1930 კვადრ. საჟ.

მხეიძისა, ივანე დავითის ძის, აზნაურისა სოფელსა კორეეთს, ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 8 დესიატ. 651 კვადრ. საჟ.

გოგორიშვილისა, მარიამ მერაბის ძის, აზნაურისა: სოფელთა ინაშორურს ბზვანს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 9 დესიატ. 675 კვადრ. საჟენი.

ლორთქიფანიძისა, მიხაილ გიორგის ძის, თავადისა: სოფელსა ამაღლებას სახნავ-სათესი, 82 დესიატ. 1200 კვადრ. საჟ.

ერისთვისა, ივანე ოტიას ძის, თავადისა სოფელთა ამაღლებას, ინაშაურს და შხუთს ზვარები და სახნავ-სათესი, 67 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.

გოცირიძისა, ბესუ ოტიას ძის, აზნაურისა: სოფელსა გორას: ეზო ზვარი და სახნავ-სათესი, 9 დესიატ.

გამყრელიძისა, ლევან გიორგის ძის, აზნაურისა სოფელსა ობჩას: ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 11 დესიატ. 1464 კვადრ საჟ.

გამყრელიძისა, იოსებ გიორგის ძის, აზნაურისა: სოფელსა ობჩას: ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 11 დესიატ. 168 კვადრ. საჟ.

იოსელიანისა, პეტრე ნიკოლოზის ძის, აზნაურისა სოფელსა წყალტუბოს ეზო ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 14 დესიატ. 600 კვადრ. საჟ.

მიქელაძეთა, ლომინ, დავით და სოლომონ გიორგის ძეთა, თავადთა სოფელსა კულაშს: ეზო, ზვარი, სახნავ სათესი და ტყე, 9 დესიატ. 900 კვადრ. საჟ.

მიქელაძისა, ალექსანდრე იაგორის ძის, თავადისა სოფელსა კულაშს ეზო და სახნავ-სათესი, $10^1/_8$ დესიატ.

მიქელაძეთა, ვალერიან და გიორგი ბეგლარის ძეთა, თავადთა: სოფელსა კულაშს: ეზო და სახნა-სათესი, 23 დესეატ. 1104 კვადრ. საჟ.

ნიჟარაძისა, მიხაილ და რევაზის ძეს, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს, ეზო, ზვარი და ტყე, 3 დესიატ.

პრინცისა, ევგენია ივანეს ასულის პოლკოვნიკის მეუღლისა: ქავხ-ქირის აგარს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 59 დესიატ. 1564 კვადრ. საჟ.

ტოგონიძისა, მარიამ ანდრიას ასულის: გუმათის აგარს, ეზო ზვარი, სახნავ სათესი და ტყე, 10 დესიატ. 889 კვადრ. საჟ.

აგიაშვილისა, ეგვიპტა გიორგის ასულის, კნეინასი; სოფელსა ტყა-ჩირს სახნა-სათესი 30 დესიატ.

ლორთქიფანიძისა, ეფროსინა ნიკოლოზის ასულის კნეინისა; სო-ფელს ტყაჩირს სახნავ-სათესი 2 დესიატ. 1584 კვადრ. საჟ.

ნიჟარაძისა, ოტია ფარსადანის ძის თავადისა: სოფელს მაღლაკს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 69 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.

აგიაშვილისა, მიხაილ ბეჟას ძის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ზვარი და სახნავ-სათესი, 15 დესიატ. 1251 კვადრ. საჟ.

მისივე: სოფელსა ტყაჩირს ეზო და სახნავ-სათესი, 114 დესიატ.

დოდაბერიძისა, არკადი სიმონის ძის, აზნაურისა სოფელსა გორა ჯი-ხაიშს ეზო და სახნავ-სათესი, 3 დესიატ. 1417 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა გამყრელიძისა მიხაილ ბეჟანის ძის, აზნაურისა: სოფელსა ობჩას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 17 დესიატ. 1404 კვადრ. საჟ.

ჯაფარიძისა, ქაიხოსრო თაყას ძის, აზნაურისა: სოფელსა ობჩას, ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 5 დესიატ. 2000 კვადრ. საჟ

ქორქაშვილისა, მართა ლუარსაბის ასულის აზნაურისა: სოფელსა ბაშს სახნავ-სათესი და ტყე, 34 დესიატ. 1480 კვადრ. საჟ.

მიქელაძისა, დავით პეტრეს ძის, თავადისა სოფელსა ქულაშს ეზო, და სახნავ-სათესი, 3 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.

მიქელაძისა, ელიზბარ მურძაყანის ძის თავადისა: სოფელსა ქულაშს ეზო, და სახნავ-სათესი, 2 დესიატ. 1768 კვადრ. საჟ.

მაჩაბელისა, ნესტორ იესეს ძის თავადისა: სოფელსა ტყაჩირს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 12 დესიატ. 2340 კადრ. საჟ.

ნიჟარაძისა, ალექსანდრა მერაბის ასული კნეინასი: სოფელსა ოფიშ-კვიწს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 21 დესიატ, 2304 კვადრ. საჟ.

ნიჟარაძეთა, ერმალო, ბეგლარ და ვასილ იოსების ძეთა თავადთა: სოფელსა მაღლაკს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 57 დესიატ. 206 კვადრ. საჟ.

წულუკიძისა, ქრისტინა ქაიხოსროს ასულის თავადისა დაბახნოს და სოფელთა ივანდიდს, ჭყვიშს და მაიდანს ეზო სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატ. 113 კვადრ საჟ.

წულუკიძეთა: დავით და ალექსი გიორგის ძეთა, თავადთა სოფელსა ნამაშევს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 10 დესიატ. 1050 კვადრ. საჟ.

ერისთავისა, გიორგი დავითის ძის, ნადვორნი სოვეტნიკისა: სო-ფელთა სალომინაოს და ნოღას ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 31 დესიატ. 1312 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა ერისთავისა, მაიანე სპირიდონის ასულის აზნაურისა: სოფელსა ობჩას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 10½ დესიატ.

აბულაძისა, მამუკა ვახტანგის ძის გლეხისა: სოფელს ქვიტირს სახ-ნავ-სათესი და ტყე, 6 დესიატ. 228 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა იოსელიანისა, გიორგი ქაიხოსროს ძის, ტიტულიარნი სოვეტნიკისა სოფელთა გალმა-წყალტუბოს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 22 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.

ქორქაშვილისა, მართა ლუარსაბის ასულის, აზნაურის: სოფელსა ბაშს სახნავ-სათესი და საძოვარი 47 დესიატ. 600 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა ქაიხოსრო დავითის ძის, კოლლეჟსკის სეკრეტრისა: სოფელსა დიდ-ჯიხაიშს ეზო და სახნავ-სათესი, 4 დესიატ. 1200 კვადრ. საჟენი.

მაჩაბელთა, ნესტორ და ანემპოდისტო იესეს ძეთა, გიორგი მიხაილის ძის ნატალია ივანეს ასულის და მარიამ სეფეს ასულის თავადთა: სოფელსა იანეთს სახნავ-სათესი და ტყე, 176 დესიატ. 1652 კვადრ. საჟ.

მათივე: სოფელსა იანეთს სახნავ-სათესი და ტყე, 406 კვადრ. 192 კვადრ. საჟ.

მიქელაძისა, ივანე ნიკოლოზის ძის თავადისა: სოფელსა ქულაშს ეზო და სახნავ-სათესი 5 დესიატ. 1500 კვადრ. საჟ.

ჩხეიძისა, იოსებ ფირანის ძის, აზნაურისა: სოფელსა დიმს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 15 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.

ჩხეიძისა, ევგენა ნიკოლოზის ასულის: სოფელსა ფარცხანაყანეს ეზო სახნავ-სათესი და ტყე, 36 დესიატ. 576 კვადრ. საჟ.

ქუთათელაძისა, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის აზნაურისა: სოფელსა წაბლარის ხევს სახნავ-სათესი და ტყე, 112 დესიატ. 1200 კვადრ. საჟ.

ქორქაშვილისა, ანნა რევაზის ასულის ასესორისა ქვრივისა: სოფელთა ბაშს და ფარცხანაყანევს სახნავ-სათესი, 21 დესიატ.

კვიცარიძისა, ბოგია დავითის ძის გლეხისა: სოფელსა ბაკისუბიშს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 1 დესიატ. 2365 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა, პრისკილა ბესარიონის ასულის კნეინისა: სო-ფელსა ოფიშკვითს სახნავ სათესი, 18 დესიატ. 1152 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა, სიკო დავითის ძის თავადისა სოფელსა ჩუნეშს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე; 34 დესიატ. 48 კვადრ. საჟ.

მაჩაბელისა, ანემპოდისტო იესეს ძის, თავადისა: სოფელსა კულაშს ეზო და სახნავ სათესი, 28 დესიატ. 1920 კვადრ. საჟ.

წულუკიძისა, ნიკო სიმონის ძის, თავადისა, (მამულია გადასული პრაპორშჩიკ დიმიტრი ივანეს ძის ჩხიკვიშვილზე): სოფელსა საწულუკიძევოს ეზო; სახნავ-სათესი, ტყე და საძოვარი, 17 დესიატ. 2040 კვადრ. საჟ.

ჩარკვიანისა, მარიამ ანდრიას ასულის, აზნაურისა: სოფელსა ფერ-სეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 7 დესიატ. 320 კვადრ. საჟ.

ბრეგლიძისა, მელიტონ, გიორგი და სოლომონ ტარიელის ძეთა აზნაურთა: სოფელი ჩხენიშს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 5 დესიატ. 384 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა, გრიგოლ დავითის ძის აზნაურისა: სოფელთა ქვი-ტირს და ღონირს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 9 დესიატ. 1944 კვადრ. საჟენი.

მიქელაძისა, სინო კოხტას ძის, თავადისა: სოფელსა ქულაშს ეზო სახნავ-სათესი და ტყე, 10 დესიატ. 1830 კვადრ. საჟ.

მიქელაძისა, მელქისედეკ დიმიტრის ძის, თავადისა: სოფელსა ქულაშ-ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 12 დესიატ. 1860 კვადრ. საჟ.

მიქელაძისა, ადმირალ ივანეს ძის, თავადისა სოფელს ქულაშს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 12 დესიატ. 900 კვადრ საჟ.

ფალავასი, პელაგია ნიკოლოზის ასულის, კნეინისა სოფ. ფარცხანაყანევს და ბაშს სახნავ-სათესი, და მინდორი, 30 დესიატ. 216 კვადრ. საჟ.

აბაშიძისა, დავით ქაიხოსროს ძისა, თავადისა: სოფელსა სვირს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 77 დესიატ. 1076 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა, დავით არჩილის ძის, აზნაურისა: სოფელსა წყალ-ტუბოს ეზო, ზვარი, სახნავ-,ათესი და ტყე, 27 დესიატ. 1152 კვადრ. საჟ.

მაჩაბლისა. ანემპოდისტო და ნესტორ იესეს ძის, გიორგი მიხაილის ძის, და მარიამ სეფეს ასულის თავადთა სახნავ-სათესი და ტყე, 149 დესიატ. 2112 კვადრ. საჟ.

ნიჟარაძისა, მანუჩარ აბესას ძის, თავადისა: სოფელსა მაღლაკს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 90 დესიატ. 778 კვადრ. საჟ.

რიონიშვილისა, იოსებ, როსტომის ძის, აზნაურისა დაბამეელის აგარს სახნავ-სათესი და ტყე, 3 დესიატ. 1360 კვადრ. საჟ.

## შორაპნის მაზრისა.

ბიწაძეთა: ქაქიჩა და ბესარიონ ბერუკას ძეთა, პავლე და გიორგი ქიკოლას ძეთა გლეხთა სოფ. ქვალითს, ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ. 414 კვადრ. საჟ.

ლეჟავათა: სპირიდონ, თეიმურაზ და ფილიპპე გიორგის ძეთა აზნა-ურთა, სოფელ ქვალითს, ცხრა წყაროს და ზოვრეთს, სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 51 დესიატ. 550 კვადრ. საჟ.

ჭიპაშვილისა, ეგნატე თედორეს ძის, გლეხისა სოფელსა ჩხერს სახნავ-სათესი და ტყე, 1 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.

აბაშიძისა, ტარასი ვახუშტის ძის თავადის სოფ. ზედა-საქარას და დაბლა-საქარას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 21 დესიატ 2000 კვადრ. საჟ.

ყიფიანისა, აპოლონ მერაბის ძის აზნაურისა სოფ. ღვანკიცს სახნავ-სათესი 11¼ დესიატ.

ლეჟავასი, ფარსადან იესეს ძის აზნაურისა სოფ. ქვალითს ცხრაწყა-როს და ზოვერთს ეზო, სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 18 დესიატ. 1850 კვადრ. საჟ.

ცქიტიშვილისა, დიმიტრი რომანოზის ძის, აზნაურისა სოფ. ზედა საქარას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 12⅛ დესიატ.

ჩხეიძისა, მელანია ქაიხოსროს ასულის, აზნაურისა სოფ. ლახუნდა-რას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატ. 1500 კვადრ. საჟ.

აბაშიძისა, დავით სიმონის ძის თავადისა: სოფ. ლაშეს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 5 დესიატ. 400 კვადრ. საჟ.

ერისთავისა, სიმონ ივანეს ძის, თავადისა სოფ. თერჯოლას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და სათიბი, 33 დესიატ 1800 კვადრ. საჟ.

აბაშიძისა, ქაიხოსრო გიორგის ძის, თავადისა: სოფ. ლაშეს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 49 დესიატ. 250 კვადრ. საჟ.

გოდაბრელიძეთა, სპირიდონ და იოსებ ოტიას ძეთა, აზნაურთა: სოფ. ფასიეთს, საჩხერს და საირხეს სახნავ-სათესი და ტყე 36 დესიატ. 1692 კვადრ. საჟ.

მებუკისა, ბესარიონ ვასილის ძის: სოფ. ბილას სახნავ-სათესი 3 დე-სიატ. 600 კვადრ საჟ.

ჭაჭიაშვილისა, სინო გიორგის ძის, აზნარისა: სოფ. არგვეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 66 დესიატ. 1291 კვადრ. საჟ.

მაჭავარიანისა, სპირიდონ სიმონის ძის, გენერალ-მაიორისა: სოფ. ცხრა-წყაროს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 39 დესიატ 122 კვადრ საჟ.

ერისთავისა, ნიკოლოზ დავითის ძის, თავადისა: სოფ. თერჯოლას სახნავ-სათესი, 7 დესიატ. 2100 კვადრ. საჟ.

მდივანისა, დარისპან ნიკოლოზის ძის და ციბაძისა ლუარსაბ ვახ-ტანგის ძის, აზნარისა: სოფ. ზოვრეთს სახნავ-სათესი, 3 დესიატ. 1824 კვადრ. საჟ.

ჩხეიძისა, მანუილ დიმიტრის ძის, აზნაურისა: სოფ. ქვედა-საქარას ეზო ზვარი, სახნავ-ს-თესი და ტყე, 21 დესიატ 739 კვადრ. საჟ.

ბოჭორიშვილისა, მარკოზა ბოგინას ძის, გლეხისა: სოფ. ჩხარს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 3 დესიატ. 2080 კვადრ. საჟ.

ლეონიძისა, სოლომონ ივანეს ძის, თავადისა: სოფ. ქაცხს სახნავ-სათესი და ტყე, 60 დესიატ. 1092 კვადრ. საჟ.

მიმინოშვილებისა, ივანე და ლუკა კაციას-ძეთა, გლეხთა სოფ. რუფოს ესო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 5 დეს. 1882 კვად. საჟ.

(იხილე მეხუთე გვერდი.)